საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერისწყალი

ერისწყალი, დიდი ერისწყალი, მდინარე დას. საქართველოში, გალის მუნიციპალიტეტში. ოქუმის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 75 კმ, აუზის ფართ. 296 კმ². სათავე აქვს ოხაჩქუეს კარსტული მასივის სამხრ.-აღმ. კალთის ძირში, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე. გამოედინება ერთიშის მთიდან, ამიტომ ეწოდებოდა ერთიშწყალი, რაც დროთა განმავლობაში ე-ით შეიცვალა. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა კარსტული წყლით. გაზაფხულზე იცის ხანმოკლე წყალდიდობა, წელიწადის სხვა დროს – წყალმოვარდნები. საშ. წლ. ხარჯი 12,0 მ³/წმ. ე-ის შენაკადებია რთომისწყალი, პატარა ერისწყალი, რეჩხი და სხვ. ე-ზე, სოფ. რეჩხთან, აგებულია გალის წყალსაცავი.

ი. აფხაზავა